

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური



“სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებების“
შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

(CPV 66500000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 201 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი
2016 წ.

1. გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება

1.1 შესყიდვის საგანია: 1275 მანდატურისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად.

1275 მანდატურისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 459 000 (ოთხას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარს, ხოლო ინდივიდუალური (მანდატურის) პაკეტის სადაზღვევო პრემიის სავარაუდო ღირებულება შეადგენს თვეში არაუმეტეს 30 ლარს. თანამშრომლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამემოსავლო გადასახადი არ არის გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაში.

ა) შესყიდული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ამ დოკუმენტაციაში ჩამოთვლილ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ბ) პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ფასის კლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

გ) კონტრაქტის პერიოდში შეუძლებელია პროვაიდერი კლინიკების არსებითი ცვლილება (შემცირება).

დ) დაზღვეულ მანდატურთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია იგივე პირობებით დააზღვიოს ყოველი დამატებული მანდატური, რომელთა დაზღვევის ღირებულებას დამატებით აანაზღაურებს შემსყიდველი. დაზღვევის საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველის შეტყობინება (ელექტრონული ფოსტის საშუალებით) ახალი მანდატურის დამტების შესახებ.

ე) შემცირების შემთხვევაში: მანდატურის სამსახურიდან გათავისუფლების, მ.შ. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში, მოცემული პირის კორპორატიული სადაზღვევო მომსახურება შეწყდება და შემსყიდველს არ დაეკისრება ვალდებულება განაგრძოს მოცემული პირის სადაზღვევო თანხის გადახდა და არ დაეკისრება არანაირი პირგასამტეხლო. ამასთან გაუქმების საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველის შეტყობინება (ელექტრონული ფოსტის საშუალებით) თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების ან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ.

ვ) საოჯახო პაკეტი - მანდატურის/დაზღვეულის სურვილის და თვითდაფინანსების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მისი ოჯახის წევრების - მეუღლე (ასაკის შეუზღუდავად) და შვილების (0-დან 21 წლამდე) დაზღვევა საოჯახო პაკეტით. ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია ოჯახის წევრები დააზღვიოს ქვემოთ მოცემული სადაზღვევო პირობების მიხედვით უცვლელად.

1.2. მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებელი:

ა) მიმწოდებელმა უნდა გამოყოფოს სპეციალური სადაზღვევო აგენტი/სადაზღვევო მენეჯერი ან სხვა თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უშუალო კურატორობას/ზედამხედველობას გაუწევს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ანაზღაურების წესსა და მომსახურების სქემისათვის განსაზღვრული პროცედურების და ვადების დაცვას.

ბ) მიმწოდებელი კომპანიის ოჯახის ექიმის სამუშაო საათები უნდა იყოს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10⁰⁰-დან 18⁰⁰ საათამდე;

შაბათს - 10⁰⁰-დან - 14⁰⁰ საათამდე;

ხოლო ანაზღაურება უნდა მოხდეს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10⁰⁰-დან 18⁰⁰ საათამდე;

გ) მიმწოდებელს უნდა ქონდეს პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების ფართო ქსელი როგორც თბილისში (არანაკლებ 30, ხოლო სტომატოლოგიური კლინიკა არანაკლებ 5), ასევე საქართველოს შემდეგ ქალაქებში: აბაშა, ახალციხე, ბორჯომი, დუშეთი, თერჯოლა, კასპი, მარტვილი, მცხეთა, ოზურგეთი, რუსთავი, თელავი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, გორი, საჩხერე, ქარელი, ქობულეთი, ყვარელი, წყალტუბო, ჭიათურა, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, კაზრეთი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ბათუმი, ლანჩხუთი. ზემოთ აღნიშნულ ქალაქებში დასაშვებია სადაზღვევო კომპანიას გაფორმებული ქონდეს ხელშეკრულება კლინიკებთან, სადაც მოემსახურება არანაკლებ ერთი ოჯახის ექიმი, რომელიც გაცემს

მიმართვებს და რეცეპტებს. პროვაიდერ კლინიკებში მიმწოდებელს უნდა ყავდეს არანაკლებ სამი ოჯახის ექიმი, რომელიც მოემსახურება შემსყიდველს.

დ) მიმწოდებელს უნდა ქონდეს მინიმუმ 3 დიდ სააფთიაქო ქსელთან რეცეპტით შეძენის შესაძლებლობა. თითოეულ სააფთიაქო ქსელს უნდა ქონდეს მინიმუმ 30 აფთიაქი საქართველოს მასშტაბით, საიდანაც მინიმუმ 10 აფთიაქი უნდა იყოს თბილისში, ხოლო მინიმუმ 15 რეგიონებში.

ე) მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროვაიდერი კლინიკების (ჰოსპიტალური, ამბულატორიული და სტომატოლოგიური) სრული ჩამონათვალი, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, ზუსტი საკონტაქტო ინფორმაციის და მისამართების მითითებით; სააფთიაქო ქსელების (აფთიაქები) და სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელის შესახებ ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია და მისამართები თბილისსა და რეგიონებში.

ვ) სადაზღვევო პირობები უნდა ითვალისწინებდეს პირადი ექიმის ან პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულების მიერ საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემის უზრუნველყოფას დამატებითი გადასახადის გარეშე.

ზ) მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ოჯახის ექიმის ბინაზე მისვლა.

თ) მიმწოდებელს უნდა ქონდეს ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების არანაკლებ 7 წლიანი გამოცდილება.

1.3 გასაწევი მომსახურების პირობები:

მომსახურება	სადაზღვევო ლიმიტი	თანაბალანსა
24 საათიანი სატელეფონო მომსახურება	შეუზღუდავად	
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	ულიმიტო	100%
პირადი ექიმის მომსახურება	ულიმიტო	100%
დაავადებათა პროფილაქტიკა	წელიწადში ორჯერ	
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	ულიმიტო	100%
გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	3000.00 ლარი	70%
ამბულატორიული მომსახურება ქრონიკული დაავადების დროს		70%
მედიკამენტების ანაზღაურება	2500.00 ლარი	60%
ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება		60%
მედიკამენტები რეცეპტის გარეშე	50 ლარი	60%
უბედური შემთხვევით განპირობებული ჰოსპიტალიზაცია	20000.00 ლარი	100%
ურგენტული ჰოსპიტალური მომსახურება	20000.00 ლარი	100%
გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება	17000.00 ლარი	100%
კარდიოქირურგიული ჰოსპიტალური მომსახურება		100%
ონკოლოგიური მომსახურება		100%
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება	ულიმიტო	100%
თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურება პროვაიდერ კლინიკებში	2500.00 ლარი	70%
ორთოპედია/ორთოდოღონტია	20%-იანი ფასდაკლება პროვაიდერთან	
რსულობა	2000.00 ლარი	100%
მშობიარობა		100%

სამკურნალო რეაქსაციური მასაჟი; რეაბილიტაციური და ბალნეოლოგიური მომსახურება	ფასდაკლება 20%
სიცოცხლის დაზღვევა (გრცელდება მხოლოდ თანამშრომელზე)	6000.00 ლარი
უბელური შემთხვევის დაზღვევა (გრცელდება მხოლოდ თანამშრომელზე)	6000.00 ლარი
სრული მუდმივი შრომისუნარობა	
სრული ნაწილობრივი შრომისუნარობა	

აუცილებელი პირობა:

- ასაკობრივი ზღვარი – ულიმიტო;
- ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თანამშრომლების (რაოდენობის მიუხედავად), იგივე პირობებით დამატების და გამოკლების შესაძლებლობა.
- სადაზღვევო პრემია ერთ თანამშრომელზე (ინდივიდუალური პაკეტი) თვეში დაანგარიშებული უნდა იყოს ტენდერის სავარაუდო ღირებულების, თვეების და დანართში ასახული თანამშრომელთა რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მიეწოდება სადაზღვევო კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებისას.
- შემოთავაზებული ინდივიდუალური პრემია უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს მათ შორის სამედიცინო დაზღვევის ბარათების დამზადების ღირებულებას. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
- სადაზღვევო პრემია ერთ თანამშრომელზე (ინდივიდუალური პაკეტი) თვეში დაანგარიშებული უნდა იყოს საშემოსავლოს გარეშე, რომელსაც გადაიხდის შემსყიდველი.
- კლინიკების არჩევის თავისუფლება, გარდა სტომატოლოგიური კლინიკებისა. ასეთ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის და ექიმის მიერ დამოწმებული დოკუმენტის სადაზღვევო კომპანიისათვის წარდგენის საფუძველზე.
- დაზღვეულის მხრიდან არაპროვაიდერი კლინიკის (ჰოსპიტალური, ამბულატორიული) არჩევის შემთხვევაში არ არის აუცილებელი ტელეფონის საშუალებით (სადაზღვევო კომპანიის „ცხელი ხაზი“) შეტყობინოს სადაზღვევო კომპანიას მისთვის სასურველი სამკურნალო დაწესებულების არჩევის თაობაზე. შესაბამისად, პირად ექიმთან ვიზიტი და მისი მიმართვა სავალდებულო არ არის. სტომატოლოგიური მომსახურებისას სადაზღვევო კომპანიაში სავალდებულო არ უნდა იყოს რენტგენ-ბის წარდგენა.
- ზარალის ანაზღაურება (არაპროვაიდერი კლინიკის არჩევის შემთხვევაში) უნდა მოხდეს შემდეგნაირად:
500 ლარამდე მომსახურებაზე დოკუმენტების სადაზღვევო კომპანიაში წარდგენიდან არაუგვიანეს იმავე დღისა; 500 ლარის ზევით – დოკუმენტების სადაზღვევო კომპანიაში წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
- აუცილებელია სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერ კლინიკებს ჰქონდეს საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) გაცემის უფლება.
- პაკეტის ინდივიდუალურად გაუმჯობესების შესაძლებლობა. გაუმჯობესებისა და საოჯახო დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვეულს უკავდება ხელფასიდან სხვაობა გაუმჯობესებულ პაკეტსა და საბაზისო პაკეტს შორის და ძირითად პრემიასთან ერთად ირიცხება გამარჯვებული სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე.
- სადაზღვევო წლის განმავლობაში, სამსახურში აყვანილი ახალი თანამშრომლების დაზღვევა განხორციელდება გამარჯვებულ კომპანიაში.
- სადაზღვევო პაკეტის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში.
- ახალი თანამშრომლის დაზღვევისას მას უფლება აქვს გააუმჯობესოს საკუთარი სადაზღვევო პაკეტი დაზღვევისთანავე.

დამატებითი მომსახურების შემოთავაზება: ტექნიკურ დავალებაში მითითებული დასაზღვევი მანდატურების რაოდენობის გარდა, სამსახურის სხვა თანამშრომელთა (მათ შორის შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა) დაზღვევა შეთანხმებული პირობებით და პაკეტით (სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული პირადი სახელფასო ანგარიშიდან);

ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები):

- სექსუალური დარღვევების, იმპოტენციის, უნაყოფობის, უშვილობის, კონტრაცეფციის და კონტრაცეპტივის, არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებული აბორტის ხარჯები, კლიმაქსის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; რეპროდუქტოლოგიური პრობლემების გამოკვლევასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; ორსულობის დროს სანაყოფე სითხის დიაგნოსტიკასთან, ნაყოფის გენეტიკურ კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ფსიქიკური და/ან ქცევითი აშლილობების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები (კერძოდ: ორგანული ბუნების აშლილობანი, ფსიქოპათიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი; ავექტური აშლილობანი; ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია; პიროვნული და ქცევითი დარღვევები (ფსიქოპათიები); გონებრივი ჩამორჩენილობა, ფსიქიკური განვითარების დარღვევები; ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი;
- მხედველობის ექსიმერული ლაზერით კორექციის, სათვალის, კონტაქტური ლინზებისა და სმენის აპარატის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები;
- შაქრიანი ან უშაქრო დიაბეტთან, თირკმლის და/ან ღვიძლის ქრ. უკმარისობასთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები, ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარება ამ პუნქტში მითითებული დიაგნოზების და/ან მათი გართულებებით განპირობებული ურგენტული სტაციონარული და ურგენტული ამბულატორიული მომსახურება, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა და პირველადი დიაგნოსტიკა;
- ბე და ცე ჰეპატიტებთან, შიდსთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები (ანაზღაურდება პირველადი დიაგნოსტიკა);
- გონორეის, ქლამიდიოზის, ათაშანგის, შანკროიდის, ვენერიული გრანულომით გამოწვეული დონოვანოზის, სასქესო ორგანოების ჰერპესის გამოკვლევის და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (ანაზღაურდება პირველადი დიაგნოსტიკა);
- ალტერნატიული (ტრადიციული და/ან არატრადიციული) მედიცინის, მათ შორის: აკუპუნქტურის, ჰომეოპათიის, ლაზეროთერაპიის, ფიზიოთერაპიის, პლაზმაფერეზის, ოზონოთერაპიის, მეზოთერაპიის, სამკურნალო ვარჯიშის და სამკურნალო მასაჟის, ლოგოპედის, რეაბილიტაციური და სანატორიულ-კურორტული მკურნალობის, ზრდის ფაქტორის (PRP) ინექციის, PET CT-ს, მონოკლონური ანტისხეურეგლებით მკურნალობის/თერაპიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული სამედიცინო მომსახურებების ხარჯები; წონის კორექციასთან დაკავშირებული ხარჯები;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა შეუსაბამო ან/და სათანადო ლიცენზიის/ნებართვის არმქონე სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო საქმიანობის უფლებების არმქონე კერძო პირებთან კონსულტაციისა და მკურნალობის, თვითმკურნალობის და მისი გართულების ხარჯები; აგრეთვე, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, იმუნომოდულატორების, იმუნოსტიმულატორებისა და იმუნოდეპრესანტების ხარჯები; იმუნიზაციის ხარჯები; ვაქცინაციის ხარჯები (გარდა ანტიტეტანურისა, ანტირაბიურისა და ბოტულიზმისა). ასევე, ნებისმიერი არასამკურნალო წამლო (ბანდაჟი, კორსეტი, სუპინატორი, სამედიცინო დანიშნულების საგანი, სტომატოლოგიაში გამოყენებადი დამხმარე საშუალებები და სხვა), ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებების (მათ შორის, ნებისმიერი სახის კბილის პასტა, შამპუნი, საპონი) ღირებულება/ხარჯები, პირის ღრუს სავლები საშუალებების ღირებულება/ხარჯები;
- სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას ან თვითდაშავებით მიღებული დაზიანებების მკურნალობის ხარჯები, სამოქალაქო ომში, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებების დროს, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა მკურნალობის ხარჯები, საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებათ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად), რადიაციული დასივნების მიღებული დაზიანების მკურნალობის ხარჯები, მღვიმეებისა და გამოქვაბულების გამოკვლევასთან, აგრეთვე, ფეთქებად ნივთიერებათა განადგურებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული სადაზღვეო შემთხვევების ხარჯები, ეპიდემიებით, პანდემიებით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული ხარჯები; ასევე, ისეთ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შედეგად მოყვა ნარკოტიკული და/ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ასევე, ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაავადებების სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

- ნებისმიერი პროფესიული სპორტის სახეობებში ან სპორტსმენის სახით სპორტულ სახეობებში (სპორტულ შეჯიბრში, წვრთნაში, საჩვენებელ გამოსვლაში და სხვა) მონაწილეობისას დამდგარ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარება ამ პუნქტში მითითებული დიაგნოზების და/ან მათი გართულებებით განპირობებული ურგენტული სტაციონარული და ურგენტული ამბულატორიული მომსახურება, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა და პირველადი დიაგნოსტიკა.
- თანდაყოლილი, გენეტიკური დაავადებებისა, პათოლოგიების, დეფექტებისა და მათი გართულებების გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარება ამ პუნქტში მითითებული დაავადებების, მდგომარეობების, დიაგნოზების და/ან მათი გართულებებით განპირობებული ურგენტული სტაციონარული და ურგენტული ამბულატორიული მომსახურება, გეგმიური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის, ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა;
- ეგზოპროთეზირების (სტომატოლოგიის ჩათვლით) და ორთოპედიული ენდოპროთეზირების (გარდა ტრავმებისა), ტრანსპლანტაციის (ტრანსპლანტების ჩათვლით), ასევე დეფიბრილატორთან ან გულის რესინქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლანტირებადი რითმის ხელოვნური წარმართველის ხარჯები; თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიის ისეთი ხარჯები, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული ან/და ორტოდონტიული სამუშაოებისათვის მოსამზადებლად;

ენდოპროთეზირებისას, აგრეთვე, სხვა მაკორეირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობების საშუალებით ჩასატრეპელი ოპერაციების დროს, დადგენილია გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების შემდეგი ქველიმიტი (რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ბართით განსაზღვრული გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების ლიმიტის შემადგენელია ნაწილია): 1,000.00 (ერთი ათასი) ლარი - სტენტისათვის და 2,000.00 (ორი ათასი) ლარი - პროტეზის, იმპლანტებისა და სხვა დამხმარე საშუალებებისთვის.

1.4 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში (ელექტრონულად) უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- პრეტენდენტის საბანკო რეკვიზიტები, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია, ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, (დანართი №1);
- შესაბამისი ორგანოს მიერ დაზღვევის სახეობის მიხედვით გაცემული ლიცენზია;
- ინფორმაცია გამოცდილების შესახებ (საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ჯანმრთელობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 7 (შვიდი) წლიანი გამოცდილება).
- ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი მომსახურების აღწერილობა, დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი იმ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელიც არ ანაზღაურდება;
- პროვაიდერი კლინიკების (ჰოსპიტალური, ამბულატორიული და სტომატოლოგიური) სრული ჩამონათვალი, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, ზუსტი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
- სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელის შესახებ ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში;

1.5 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომელიც ადასტურებს, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობას.

2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, გარდა საშემოსავლო გადასახადისა.

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ხოლო 2017 წლის დეკემბრისთვის თანხის ანაზღაურება მოხდება 25 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების და/ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

2.4 [საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.](#)

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2018 წლის 31 იანვრამდე.

3.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით. აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისი მოქმედების ვადა სულ მცირე 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. (ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, დანართი №2).

4. დამატებითი ინფორმაცია

4.1 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საბიუჯეტო სახსრები 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში.

4.2 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: ნინო მგალობლიშვილი, ტელ.: +995(32) 200220 (3023), 577 38 21 31 n.mgaloblishvili@mandaturi.gov.ge.

4.3 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 459 000 (ოთხას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი.

4.4 ფასთა ადაკვატურობა:

ა) გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე- 11 მუხლის 21 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ხელშეკრულება №

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ. თბილისი

----- 2017 წელი

ერთი მხრივ, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის ვახტანგ მეიფარინის სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“, „წელი“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე, წელი.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება“ - N SPA----- გამარტივებული ელქტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის „სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება“ (CPV 66512200).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 მომსახურება მიწოდება განხორციელდება მისამართზე: -----

6.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ----- .

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს.

9.2 საქონლის მიწოდების განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს შესასრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 220101222
ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900
ტელ: 2200220 (3023)

სამსახურის უფროსი

ბ.ა.

ბ.ა.

ვახტანგ მეიფარიანი

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები	
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
მომსახურე ბანკის დასახელება	
ბანკის კოდი	
ანგარიშსწორების ანგარიში	
შესასყიდი მომსახურების დასახელება	
შესასყიდი მომსახურების ღირებულება	
შესასყიდი პაკეტის ღირებულება	

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო
უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: -----

(შემსყიდველის
დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ -----

(მიმწოდებლის
დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ ----- ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის
დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე და- კისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე -----

(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და
ბეჭედი

(თარიღი)
